



ჭემმარიტად მოციქული (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოვიდა ჩვენთან, და ჩვენ ვუთხარით: "ო, აღლაჰის მოციქულო, უკვე ვიცით, როგორ მოგესალმეთ, მაგრამ როგორ ვილოცოთ შენთვის?"

გადმოცემულია აბდურრაჰმან იბნ აბი ლაილასგან, რომელმაც თქვა: შემხვდა ქა'ბ იბნ 'უჯრა, და თქვა: გინდა რომ გაჩუქო საჩუქარი? ჭემმარიტად მოციქული (აღლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოვიდა ჩვენთან, და ჩვენ ვუთხარით: "ო, აღლაჰის მოციქულო, უკვე ვიცით, როგორ მოგესალმეთ, მაგრამ როგორ ვილოცოთ შენთვის?" მან თქვა: «თქვით: 'ო, აღლაჰ, დალოცე მუჰამმადი და მუჰამმადის ოჯახი, როგორც დალოცე იბრაჰიმისა და იბრაჰიმის ოჯახი. ნამდვილად, შენ ხარ ღირსეული და დიდებული. ო, აღლაჰ, აკურთხე მუჰამმადი და მუჰამმადის ოჯახი, როგორც აკურთხე იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი. ნამდვილად, შენ ხარ ღირსეული და დიდებული». /აღლაჰუმმა სალლი 'ალაა მუჰამმად ვა 'ალაა აალი მუჰამმად, ქამაა სალლაითა 'ალაა იბრაჰიმი ვა 'ალაა აალი იბრაჰიმი, ინნაქა ჰამიიდუნ მაჰიიდ, აღლაჰუმმა ბაარიქ 'ალაა მუჰამმად ვა 'ალაა აალი მუჰამმად, ქამაა ბაარაქთა 'ალაა იბრაჰიმი ვა 'ალაა აალი იბრაჰიმი, ინნაქა ჰამიიდუნ მაჰიიდ/.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

თანხლებლებმა ჰკითხეს მოციქულს, თუ როგორ უნდა ელოცათ მისთვის მას შემდეგ, რაც წაიკითხავდნენ ათ-თაჰიათუს? მოციქულმა ასწავლა მათ, თუ როგორ უნდა დალოცონ მოციქული, მისი მნიშვნელობაა: "'ო, აღლაჰ, დალოცე მუჰამმადი და მუჰამმადის ოჯახი" ანუ: ახსენე იგი ანგელობთა უმაღლეს საზოგადოებაში, ასევე მისი მიმდევრები მის რელიგიაში და მორწმუნეები მისი ნათესავებიდან. "როგორც დალოცე იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი" როგორც მაღლი გაიღე იბრაჰიმის ოჯახზე, რაც გულისხმობს იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაყს, მათ შთამომავლებსა და მათ მორწმუნე მიმდევრებს, ასევე მოავლინე შენი მაღლი მუჰამედზე. "ნამდვილად, შენ ხარ ღირსეული და დიდებული" ანუ: ის, ვინც თვითონაა ქებული თავისი არსით, თვისებებითა და მოქმედებებით; უზენაესი თავისი სიდიადით, ძალაუფლებითა და გულუხვობით. "ო, აღლაჰ, აკურთხე მუჰამმადი და მუჰამმადის ოჯახი, როგორც აკურთხე იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი" ანუ: მიეცი მას სიკეთე და ღირსება უმაღლესი დონით, გაამრავლე და განამტკიცე იგი.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

